1

ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 4-25

№05
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
"07" 05 2010 წ.
№ 010.250.050.36101.000.052

" 26" აპრილი 2010 წ.

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

„ქ. თბილისში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 28 ივლისის №11-4 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა „ქ. თბილისში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2000 წლის 28 ივლისის №11-4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგად წესში შევიდეს ცვლილება და წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ყოველი გარდაცვლილის დაკრძალვა ხდება ცალკე სამარეში, გარდა ზემოდან დაკრძალვის შემთხვევისა. ყოველ სამარეზე გაანგარიშებული და გამოყოფილ უნდა იქნეს 2.5 კვ.მ-მდე ფართობის ტერიტორია. საფლავებს შორის დაშორება არ უნდა იყოს გრძელ მხარეებს შორის 1 მეტრზე ნაკლები, ხოლო მოკლე მხარეებს შორის – 0,5 მეტრზე ნაკლები. კერძო სასაფლაოებზე საფლავებს შორის დაშორება გრძელ და მოკლე მხარეებს შორის არ უნდა იყოს 0,5 მეტრზე ნაკლები".

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი